საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1151/01
08/02/2022

1151-01-2-202202081434

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას"

მის: ქ. ბთუმი, ი. აბაშიძის ქუჩა N6, ბ 2-3

ელ. ფოსტა: nino.gagua@agl.com.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 13 იანვრის N392 განცხადება, რომელიც ეხება შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე აჭარისწყალზე შუახევის ჰესების კასკადის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ფუჭი ქანების N23 სანაყაროს ნაპირსამაგრ (ნაპირადცვითი) სამუშაოებს და გაცნობებთ:

- სკრინინგის განცხადებში წარმოდგენილი არ არის ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების აღწერა, ხანგრძლივობა და ასევე, მშენებლობის დროს გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სავარაუდო სახეობების, რაოდენობებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- დასაზუსტებელია, საიდან მოხდება ნაპირსამაგრი ნაგებობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების, მათ შორის ფლეთილი ქვების შემოტანა;
- წარმოდგენილი ნაპირსამაგრი ქვანაყარი ბერმის ძირის ნიშნული არ შეესაბამება კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალურ დონეს (შესაბამისი მარაგების გათვალისწინებით). შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიღებული საპროექტო გადაწყვეტილების დასაბუთება ან განხორციელდეს საპროექტო ნაგებობის კორექტირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე